

პროფესიონალი

№66

PROFESSIONAL

განი 2 ლარი



Email: ltlmtm@gmail.com

საშენალო

MTM

საშენალო კომპანია

BUILDING COMPANY

მშენებლობა
საქართველოს
მასშტაბით



Leselidze st. L6. N2 Terjola, Georgia
Agmashenebeli Ave NS1. Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25t
Mobile: +995 599 58 77 48



იქულებითი ფსიქიატრიული მაურნალოზა არანაზყოფლოზითი ფსიქიატრიული ღახმარაზისგან გაიმიჯნაზა

კომიტეტის სხდომაზე „ფსიქიატრიული ღახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები ჯანმრთელობის



ღაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ზუნდაძემ წარმოადგინა. კანონპროექტით, იქულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა არანაზყოფლოზითი ფსიქიატრიული ღახმარებისგან გაიმიჯნება. გარდა ამისა, სრულყოფილად გაიწერება ფსიქიატრიული მკურნალობის გამოყენებისას სასამართლოს განსჯადობასთან ღაკავშირებული საკითხები. დიმიტრი ზუნდაძის განცხადებით, კანონპროექტის შემუშავება ფსიქიატრიის ეროვნული ცენტრის წინაშე არსებულმა პრობლემამ განაპირობა, რომელიც სირთულეს უქმნის როგორც სამედიცინო პერსონალს, ასევე

ექიმ-ფსიქიატრთა ღასკვნის ღაღასტურება არის იქულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ქვეშ მყოფი პაციენტის სტაციონარიღან ღაუყოვნებლივ გაწერის საფუძველი, ზოლო უარყოფა იქულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის გაგრძელების საფუძველი“, - აღნიშნა დიმიტრი ზუნდაძემ.

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს „ღისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტი. განხილვაში ღებუ-ტატების გარდა, სასულიერო პირები და არასამთავრობო სექ-ტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„ღისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონ-პროექტი და მისგან გამომდინარე - „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, „სისხლის სამართლის კოდექსში“, „გენდერული თანას-წორობის შესახებ“ კანონსა და „სახალხო ღამცველის შესახებ“ ანტიღისკრიმინაციული პაკეტის მიხედვით, ნებისმიერი ნიშნით ღისკრიმინაცია იკრძალება. კანონის მიზანია ღისკრიმინაციის ნების-მიერი ფორმის აღმოფხვრა და თანასწორობის დაცვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, მოქალაქეობის, წარმოშობის, ღაბადე-ბის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგო-მარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სო-ციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შესზღუდულების, ან სხვა ნიშნის მიუხედავად. კანონპროექტი კრძალავს ღისკრიმინაციას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში.

ღისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნვე-ლეყოფის საკითხებზე ზეღამეღველობას სახალხო ღამცველი გა-ნაზორციელებს. პროექტის მიხედვით, სახალხო ღამცველი ღის-კრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციის და თანასწორო-ბის შესახებ სპეციალურ ანგარიშს მოამზადებს.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, სრულიად საქართველოს კა-თოლიკოს-პატრიარქმა პარლამენტს კანონპროექტის განხილვის გაღადების თხოვნით მიმართა.

აღინიშნულმა კანონმა სხდომაზე ღებატები გამოიწვია, კერ-ძოდ, იმ მუზღმა, რომელშიც მაღისკრიმინირებულ ნიშნებს შორის „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ დასაზ-ელებული. კანონპროექტის შესაბამისი მუზლის კრიტიკისას, სა-სულიერო პირების მხრიღან გამოითქვა მოსაზრება, რომ თუკი ისინი ამას, როგორც ცოღვას ღავმოზენ, კანონის მოქმეღება მათზეც გაგრცვლებს. მათივე განცხადებით, თუ ამ ორ ფრაზას პროექტიღან



ადმინისტრაციას და სასამართლოს. თავიღან ადამიანის უფლებების ღარღვევის თავიღან ასაცილებლად, კანონპროექტი გარკვეულ შემთხვევაში ითვალისწინებს პაციენტის სასამართლოს მიერ ღადგენილი ვაღის შემცირებას, თუ ამას ღაღასტურებს ექიმთა კომისია. ზუნდაძის განცხადებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ღასკვნა სავალღე-ბული ზღება. ზემოაღნიშნულიღან გამომდინარე, ცვლილებები შეღის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და კანონში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შემქმნის შესახებ“ საქართველოს კანონში. „ბიუროს მიერ

ამოიღებენ, კონფროტაცია მოიხსნება.

სხდომაზე მყოფ სასულიერო პირებს ეკა ბესელიამ განუ-მარტა, რომ ანტიღისკრიმინაციული კანონის მოქმეღება მათ საქმი-ანობაზე არ გაგრცვლებს. სასულიერო პირების განცხადებას პარ-ლამენტის თავმჯდომარე მანანა კობახიძე გამოეხმაურა. „თუკი მამა ღავითი თქვენს უფლებებს ვინმე არღვევს, მამინ მე ღა უმრავლესობა მზღ ვართ, თქვენი უფლებებიც ღავიცავთ“, - განაცხადა მანანა კობახიძემ. მისივე განმარტებით, ანტიღისკრიმინაციული კანონით იმ ადამიანების უფლებების ღაცვა უნღა მოზღვს, რომლებიც განსხვავებულები არიან.

ადმინისტრაციულ ჯარიმებზე საურავები მცირდება

ადმინისტრაციული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში საურავი მცირდება. მთავრობის ეს ინიციატივა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განმარტებით, მთავრობამ საურავების დაკისრების ახალი მექანიზმი შემუშავა. მოქმედი კანონმდებლობით, თუ მოქალაქე დადგენილ 30 დღის ვადაში ვერ გადაიხდის მასზე დაკისრებულ ჯარიმას, 100 ლარამდე ჯარიმის შემთხვევაში - მას ერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 100 ლარზე მეტი ოდენობის ჯარიმის შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით. ინიციატივის მიხედვით, ადმინისტრაციული ჯარიმის საურავი ორმაგდება, მაგრამ მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს. იზორიას განცხადებით, საურავის დაკისრების ამგვარი მექანიზმი ადმინისტრაციული გადაცდომის შემთხვევაში ხელს შეუწყობს ადეკვატური ოდენობის სახდელის დანერგვას. პროექტი საგზაო-სატრანსპორტო წესების დარღვევის გამო დაკისრებულ ჯარიმებზე დარიცხული საურავების შემცირებას ითვალისწინებს. ძალგანთა მოთხოვნისადმი, ან მათ მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმის ქვედა ზღვარი 400 ლარი იქნება. უცვლელი რჩება ფულადი სანქციის ზედა ზღვარი, რომელიც 2 000 ლარს შეადგენს. კანონპროექტის მიხედვით, 4 თვემდე იზრდება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადა.

აქვე ლევან იზორიამ აღნიშნა, რომ "112"-ში არამიზნობრივი ზარის განხორციელებაზე მაღალი ადმინისტრაციული ჯარიმის

დაწესებამ შედეგი გამოიღო და აღნიშნული ტიპის ზარები საერთოდ შეწყდა. როგორც იზორიამ სხდომაზე განაცხადა, "112"-ის არამიზნობრივი გამოყენების დროს ჯარიმის ოდენობა 1500 ლარს შეადგენს.

კომიტეტის სხდომაზე საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ პროექტი დეპუტატებს



ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ მინისტრის თანაშემწემ, თამარ ჩუგოშვილმა გააცნო. მისი თქმით, სტრატეგია საქართველოში ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეას ეფუძნება და ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა სფეროში უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის ფორმირების, „კარგი მმართველობის“ განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა გაძლიერების მიზნით.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომა

„საქართველოს საზღვაო კოდექსში“ ცვლილებები შედის, რომლების მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზო-

განსაზღვროს მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ განხორციელებული მომსახურების სახეები და საფასურები. ცვლილების თანახმად, უქმდება მუხლი, რომელიც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და შიგა წყლებში შემოსული გემების შუქურითა და სანავიგაციო ნიშნებით მომსახურების საფასურის ოდენობის განსაზღვრას ითვალისწინებს.

კომიტეტის წევრებმა პირველი მოსმენით განიხილეს კანონპროექტი „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტით საზღვაო-სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციები იხვეწება და ზუსტდება პასუხისმგებლობის არეალი საქართველოს საშიშროება-სამაშველო რაიონში. საკანონმდებლო ცვლილებები საზღვაო-სამაშველო ბაზის საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას უზრუნველყოფს.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის

ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობისა და „ენერგეტიკისა და კლიმატის ფონდის“ (EKF) ფარგლებში განსაზღვრული განსაკუთრებული ღონისძიებების შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, გერმანიის მთავრობა ფინანსურ რესურსებს გამოჰყოფს ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. კომიტეტის წევრებმა შეთანხმების რატიფიცირებას მხარი დაუჭირეს.



ნაში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, შესაბამისი საფასურის მიღება მოხდება. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ წარადგინა. მომსწინებლის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენიჭება უფლებამოსილება

2014 წელი ნამდვილად გარდაბნის წელი იქნება



საქართველოს კუთხური მრავალფეროვნება და სიმრავლე ოლითგანვე განაპირობებდა ჩვენი ქვეყნის, როგორც კულტურ-

რულ, ისე პოლიტიკურ თვითმყოფადობას. რეგიონებს შორის გურია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი საოცარი კოლორიტით და ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდა. გურულებს არც შრომისმოყვარეობა აკლდათ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, გურიის მეაბრეშუმეთა კოოპერაცია, მეეტლეთა და ხელოსანთა არტელები სამაგალითო იყო მთელს საქართველოში. წლების მანძილზე არსებულმა ეკონომიკურმა ჩავარდნებმა და შესაბამისი პოლიტიკური ნების არქონამ ამ რეგიონის მიმართ ცენტრალური ორგანოების ყურადღება მოაღწია, რამაც ერთბაშად იჩინა თავი: მოიშალა სამუშაო ადგილები, გაჩერდა ფაბრიკები, სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება ჩიხში მოექცა, რის მაგალითადაც, წლების მანძილზე ჩაბნელებული ქუჩებისა და სახლების, გაუვალი გზებისა და უტრანსპორტობის გახსენება კმარა. დღეს, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე, პრობლემისადმი საქმიანი, სწორი და გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად, გურიას აქვს პერსპექტივა განავითაროს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები, შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ამასთან, იყოს მიმზიდველი ტურისტული რეგიონი, რითაც იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში. ლანჩხუთის რაიონში ამ მიმართულებით დიდი იმედი და საზოგადოების მაღალი მოლოდინი არსებობს, რაც უპირველეს ყოვლისა, რაიონის ხელმძღვანელების, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი **ზაზა ურუშაძის** და საკრებულოს თავმჯდომარის – ბატონი **ამირან გიგინეიშვილის**

– ბატონო ზაზა, რით იყო განპირობებული რაიონის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი?

– გაუსაძლისი მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, წინა ხელისუფლების შეცდომებმა და არასწორმა აქცენტებმა განაპირობა. მოგეხსენებათ, ჩვენი რეგიონის ძირითადი დარგები მეჩაიეობა და მეციტრუსეობა იყო. ლანჩხუთის რაიონში 18 ჩაის ქარხანა მუშაობდა და მართო მაშათის ფაბრიკიდან პროდუქცია 12 ქვეყანაში იგზავნებოდა. პეტერბურგში და მოსკოვში საექსპორტოდ გადიოდა 1500 ტონა ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი. გვექონდა საკონსერვო და ხილის გადამამუშავებელი ქარხნები. წლების განმავლობაში ეს ყველაფერი განადგურდა და ხალხი უმუშევარი დარჩა.

– დღეს რაში ხედავთ გამოსავალს ამ მიმართულებით?

– ვფიქრობ, გურიის რეგიონში გამოუყენებელი მიწები უნდა იქნეს მაქსიმალურად და მიზანმიმართულად ათვისებული. უნდა მოხდეს კულტურების მიხედვით მიწის ფართობების შერჩევა. გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია რეგიონში მეციტრუსეობის და მეჩაიეობის აღდგენა. საქართველოში 7-8 მილიონი დოლარის ღირებულების ჩაი შემოდის, მაშინ, როცა ადგილობრივად შეგვიძლია ამ რაოდენობის ნედლეულის წარმოება, ხოლო სამამულო პროდუქციის ხარისხი შემოტანილზე გაცილებით მაღალი იქნება.

– მოსახლეობას რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხზე?

– წინა ხელისუფლებისგან უყურადღებოდ დარჩენილმა მოსახლეობამ ყოველგვარი სახელმწიფო თუ საბანკო დახმარების გარეშე, უმძიმესი შრომის ფასად გავერანებული ჩაის პლანტაციების ნაწილი კივითა და თხილით ჩაანაცვლა. სამწუხაროდ, ადგილობრივ წარმოებას მსოფლიო თხილის ბაზარი არ-

ევგულირებს, რაც ჯერჯერობით ამ ბიზნესს დაბალშემოსავლიანს და არასტაბილურს ხდის. ამიტომ, ჩაის კულტურის თხილით ჩანაცვლებაზე საუბარი არასერიოზულია. დარწმუნებული ვარ, ევრო-

პულ ბაზარზე მიმდინარე სიახლეები აუცილებლად შექმნის ქართული ჩაისთვის დიდ პერსპექტივებს. მიმაჩნია, რომ ჩვენი ძირითადი კულტურული ღირებულებები არ უნდა დავკარგოთ, რაშიც ცენტრალური ხელისუფლების დახმარების და თანადგომის დიდი იმედი გვაქვს.

– შემდეგი კითხვა ბატონ ამირან გიგინეიშვილთან გვექნება – კიდევ რა მიმართულებებია რაიონში პრიორიტეტული?

– ძირითადი აქცენტები ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე კეთდება. მუნიციპალიტეტი ყველანაირად ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, რაც ინვესტიციების შემოდინებას და ახალი საწარმოების შექმნას განაპირობებს. რაიონში უკვე ამუშავდა სამკერვალო ფაბრიკა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული. ვაპირებთ ტექნიკუმის განახლებას, სადაც კოლეჯის განთავსება იგეგმება. ამ ეტაპზე წარმატებით მიმდინარეობს მთავრობის მიერ წახალისებული სასოფლო კოოპერატივების შექმნა. პროცესში ჩართულია, როგორც ჩვენი ხელისუფლება, ისე უცხოელი დონორი ორგანიზაციები, რომლებიც უპროცენტო სესხებს და სხვა შედგავთებს უზრუნველყოფენ.



ზაზა ურუშაძე: - დარწმუნებული ვარ 2014 წელი ნამდვილად გარდატეხის წელი იქნება. ახლახან საქმიანი მოლაპარაკებები გვექონდა ბიზნეს ჯგუფთან, რომელიც ნავთობაზის შესყიდვას და იქ მსხვილი წარმოების ჩამოყალიბებას აპირებს. გარდა ამისა, დაგეგმილი და გაწერილია სამტრედია - ლანჩხუთის ავტობანის მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც დიდი რაოდენობით ადგილობრივ მუშახელს დაასაქმებს. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე ფინანსთა სამინისტროს, რომლებმაც დაახლოებით 4 მილიონი ლარი გამოგვიყვეს და მნიშვნელოვანწილად განაპირობეს რეგიონში განხორციელებული მთელი რიგი პროექტების წარმატება.

- ბატონო ზაზა, სასოფლო პროექტები როგორი წარმატებით მიმდინარეობს?

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაოები ყველა თემში აქტიურად მიმდინარეობს. წელს ამ მიმართულებით 820 ათასი ლარია გამოყოფილი. შეიქმნა ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც საციალისტებისაგან დაკომპლექტდა და ადგილზე შეამოწმებს თითოეულ თემში მიმდინარე სოფლის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსები მიმაგრებულნი არიან სოფლებში, რათა კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიონ პროგრამის მიმდინარეობას. რაც შეეხება კონკრეტულად საგზაო-სოფლო სამუშაოებს, ჩვენს რაიონში დაახლოებით 6 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწაა დასამუშავებელი, რაც იმაზე მეტია, ვიდრე ჩოხატაურის, ოზურგეთისა და აჭარის ერთად აღებული. სწორედ ამიტომ, წარმატებით გავართვით თავი მექანიზატორებთან მოლაპარაკებას, რომლებიც სამუშაოებს დათქმულ დროში შეასრულებენ.

- ვიცით რომ რაიონის საფეხურით ცხოვრებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობთ...

- მართლაც, რაიონის და ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემა ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. მოგვსენებათ, რომ ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტი მწირია და ძირითადი შემოსავლები ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებაზე დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ყველანაირად ვცდილობთ ლანჩხუთის „გურიას“ ყურადღება არ მოვაკლოთ, ვინაიდან ამ გუნდს დიდი ტრადიცია და თვითმყოფადი ისტორია გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ძალისხმევით გაიმართა ამხანაგური მატჩი კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ ვეტერან ფეხბურთელთა შორის, რომელმაც, ჩვენთანაც და უკრაინაშიც დიდი რეზონანსი გამოიწვია. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა მაქსიმუმი გაიღო რათა „გურია“ უმაღლესი ლიგაში გადასულიყო და იქ ღირსეული ადგილი დაეკავებინა. დღეს გუნდი სატურნირო ცხრილის ზედა ექვსეულშია და წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს.

ამირან გიგინეიშვილი: ამ დღეებში ფეხბურთის ფედერაციამ ლანჩხუთის ახალი სტადიონი ჩაიბარა, რომელიც თავად ფედერაციის და ბატონი ბიძინა ივანიშვილის დიდი თანადგომის შედეგად გარემონტდა. „ქართუს“ ფონდიდან 300 000 ლარი იქნა გამოყოფილი, რამაც შესაძლებელი გახდა სპორტული არენის სრული რეკონსტრუქცია და ევროპული სტანდარტების დონეზე მიყვანა. ეს ამბავი რაიონის მოსახლეობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა და ყოველ თამაშს რამდენიმე ათასი მაყურებელი რეგულარულად ესწრება.



ამირან გიგინეიშვილი



ზაზა ურუშაძე: გარდა ამისა, სოფელ მუხუთში, რომელიც „ლელოს“ სამშობლოა, ყოველწლიურად ვაწყობთ „ლელობურთს“, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და უცხოელი ტურისტები რეგულარულად ესწრებიან და ეს დღესასწაული „ლანჩხუთის გურიასთან“ ერთად, ჩვენს განსაკუთრებულ ბრენდს წარმოადგენს.

- ბატონო ამირან, კულტურულ სფეროში რა სიახლეებია?

- ჩვენი მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული რაიონის კულტურულ ცხოვრებაში, რაც მიზნად ისახავს კულტურისა და განათლების განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში რაიონში ჩამოყალიბებულია „კულტურის ცენტრი“, რომელიც კულტურული, ფოლკლორული და საგანმანათლებლო მიმართულებებით სხვადასხვა საინტერესო პროექტებს ახორციელებს.

- რა არის ის მთავარი პრინციპი, რომელსაც არასდროს დალახტობ?

- ამირან გიგინეიშვილი: ამ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველას დავესვს: - „რაც უნდა ჭირი მომეკრძო, ბილწო არ შევეკერი ზავითა, მცნებას ვერ შემაცვლეინებ, მოზღვაგებული ავითა!“

ზაზა ურუშაძე: დავეთანხმები ბატონ ამირანს და დავამატებ, რომ სუფთა წარსული და კეთილსინდისიერება ყოველთვის იქნება წინაპირობა იმისა, რომ საკუთარ ხალხს თვალებში გულწრფელად ჩახედო.





ყველა პრობლემა მოგვარდება

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების მექანიზმების ძიება და მათი სრულყოფა, რაც შესაძლებელს გახდის გამოვლენილ იქნას სახელმწიფოს სრული პოტენციალი. რაც შეეხება საქართველოს, მისი თანამიმდევრული განვითარების პრობლემა უპირველესად დაკავშირებულია ტერიტორიულ ერთეულთა სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის უთანაბრო განვითარებასთან. ასეთ პირობებში

აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტიანი მეთოდების ზემოქმედება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია პროგრამულ-მიზნობრივი პროგნოზირება და რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა. როგორც ცნობილია, ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. სვანეთი კი ის ადგილია, რომელიც საქართველოში ტურისტების მოზიდვის კუთხით მუდამ ერთ-ერთი მოწინავე იყო. ეს ულამაზესი კუთხე გაცილებით ბევრ ტურისტს მიიზიდავდა და მეტ შემოსავალს მოუტანდა, როგორც ქვეყანას, ისე ადგილობრივ მოსახლეობას, რომ არა წლების მანძილზე არსებული ზელისშემშლელი ფაქტორები - სახელმწიფოს მხრიდან არასწორად განხორციელებული პიარი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, ზიფათში მოხვედრილი ტურისტებისთვის დახმარების გაწევის მყარი გარანტიის უქონლობა და არასაკმარისი ინფორმაცია. დღევანდელი ზელისუფლება ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს სვანეთის ბუნებრივი პირობები, ლამაზი ბუნება და ჯანსაღი კლიმატი, რაც საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **ახსნა ჟორჟოლიანს** და საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **გოჩა სოროგანას** მიაჩნიათ, რომ სვანეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, საუცხოო ხალხური ფოლკლორი, უნიკალური ხალხური რეწვის ნიმუშები, შესანიშნავი სვანური სამზარეულო და კუთხის ბუნებრივი თვითმყოფადობა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში უახლოეს ხანში გახდება ამ რეგიონის აყვავების საწინდარი.




- ბატონო კახა, რა მდგომარეობაა მესტიის რაიონში?
- მოგეხსენებათ, მესტია დედაქალაქიდან ყველაზე დაშორებული რაიონია და ყურადღებასაც განსაკუთრებულს მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური გზები ნაწილობრივ გაკეთებული დამხვდა, მთლიანობაში პრობლემა მაინც მოსაგვარებელია. მესტიის რაიონის შიდა გზების სიგრძე 685 კილომეტრია და როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში ძალიან ჭირს გადაადგილება. უახლოეს მომავალში, ტენდერს გამოვაცხადებთ გზების, ელექტროენერგიის და წყალმომარაგების მიმართულებებით. სოფელ იფარში და ხაიშში მალე დამთავრდება შარშან დაწყებული პროექტები, სახელმწიფომ მიზნობრივი ტრანსფერი გამოვეცო „მუხლუსა“ ტრაქტორის შესაძენად, შიდა გზების რეაბილიტაციისათვის და მუზეუმის რეკონსტრუქციის დასამთავრებლად. დამტკიცებულია და მალე დაიწყება უშგულის წყლით მომარაგების 490 346 ლარიანი პროექტი, რომელიც ამ სოფლის წყლით მომარაგებას სრულად უზრუნველყოფს.

ყება უშგულის წყლით მომარაგების 490 346 ლარიანი პროექტი, რომელიც ამ სოფლის წყლით მომარაგებას სრულად უზრუნველყოფს.

- რა ეტაპზეა თეთნულდის სათხილამურო კურორტის განვითარების პროექტის განხორციელება?

- წინა ზელისუფლების პირობებში, თეთნულდის განვითარების სრულყოფილი პროექტი არ არსებობდა. ამჟამად უკვე დასრულდა დეტალური გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და შიდა გზების პროექტირება. სწორედ ამგვარი მიდგომა განაპირობებს თეთნულდის საკურორტო ზონის სწორად და ეფექტურად განვითარების შესაძლებლობას. ამ გრანდიოზული პროექტის საგარეო ღირებულება 18 მილიონი ევრო, რომელიც საფრანგეთის მთავრობის მიერ სესხის სახით იქნა გამოყოფილი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროექტისთვის გამოიყოფა 40 მილიონი ლარი. 18 მილიონიდან 12 მილიონი ევრო, გასულ წელს, საბაგროების შესაძენად დაიხარჯა, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3 250 000 ლარი, რომელიც 2013 წელს თეთნულდის სასაწყობე მეურნეობის

მშენებლობასა და პროექტირების სამუშაოებს მოხმარდა. დანარჩენი თანხები მიმდინარე წელს სამშენებლო ნაწილის და



სპეც-ტექნიკის შეძენისთვის არის განკუთვნილი. დღეისათვის მესტიაში, პაწვალის საბაგირო მუშაობს, რომლის გამართული ფუნქციონირებისთვის გასულ წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 440 ათასი ლარი გამოიყო, მიმდინარე წელსაც იგივე თანხას ველოდებით.

– სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე რას გვეტყვით?

– ამ პროგრამის განსახორციელებლად, მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 751 178 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხა კონკრეტულ სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების თითოეულ სოფელში, ჩატარდა სოფლის კრებები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით და შეთანხმებით, განსაზღვრულ იქნა ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები. რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობის სურვილით, მოხდა თანხების გაერთიანება, შედარებით მაღალბიუჯეტიანი, ერთიანი პროექტის განსახორციელებლად. პროგრამით განსაზღვრული თანხა მოხმარდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შეძენას. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია, როგორც სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, ისე სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, საერთო სარგებლობის წყლის სათაო ნაგებობის ან სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული თანხა ათვისებული იქნება 2014 წლის ბოლომდე.

– ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით რა მდგომარეობაა?

– პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ დავით სერგეენკოს, რომლის უშუალო დახმარებით, რაიონში გაიხსნა ამბულატორიები, რომელიც თანამედროვე დანადგარებით აღიჭურვა და მათი დაფინანსება 35 ათასამდე გაიზარდა. ეს მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობამ 1300-ს მიაღწია. ჩვენ ვცდილობთ მოსახლეობას გვერდში დაგვდეთ და მიიმე სოციალური ზეგერი შევუმსუბუქოთ. საკრებულოსთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, გაჭირვებულ ოჯახებზე ზღედა ერთჯერადი დახმარებების გამოყოფა,

ასევე ფინანსებიდან გაჭირვებული და მარჩენალდაკარგული ოჯახები, ზანდაზმულები და ომის ვეტერანები, ვეხმარებით მრავალშვილიან დედებს ახალშობილზე ერთჯერადად საჩუქრის სახით ზღედა თანხის გადაცემა, ასევე ვაფინანსებთ ონკოლოგიურ, დიალუზით მოსარგებლე და ფსიქიურად დაავადებულ აღამიანებს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა წელს პირველად დაფინანსა 86 პირველკურსელი სტუდენტი, აგრეთვე სტუდენტები სოციალურად დაუცველი და მარჩენალ დაკარგულთა ოჯახებიდან. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან



გოჩა ხოროშანი



ერთად შესწავლილ იქნა 12 საბავშვო ბაღის მდგომარეობა, რამაც ერთობ საკვალალო შედეგი აჩვენა. ზოგიერთ თემში ბაღებს შენობები არ გააჩნდათ, დანარჩენი ამორტიზებული იყო და რემონტს მხოლოდ ორი მათგანი ექვემდებარებოდა. მწირი იყო დაფინანსება. თითოეულ ბავშვზე 0,33 ლარი იყო გათვალისწინებული და ჩვენი ძალისხმევით ეს თანხა 2 ლარამდე გაიზარდა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხების მოგვარება საკუთარ თავზე მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ხოროშანმა აიღო და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში წარმატებით დაასრულებს.



– მინდა ბატონ გორა ზორგუანს მივმართო. ბატონო გორა, კულტურასა და სპორტს თუ ექცევა ჯეროვანი ყურადღება?

– ამ მიმართულებით ურთულესი მდგომარეობა დაგვხვდა. სიტუაციის გამოსასწორებლად დიდი შრომა დაგვჭირდა და დღეისათვის სპორტისა და კულტურის განვითარება-ხელშეწყობა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2014 წლის ბიუჯეტში კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის და სპორტის განვითარების მიზნით, გათვალისწინებულია 1 070 000 ლარი, რაც წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით ორჯერ მეტია. გვყავს წარმატებული ფოლკლორული ანსამბლი, რომლის მოღვაწეობა აქტიურად უწყობს ხელს კულტურის განვითარებას. სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის განსაზღვრულია 520 000 ლარი. მესტიის, ლერი ნაკანის სახელობის სპორტდარბაზის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 181 408 ლარი, ასევე ლატალის თემის სპორტსკოლის შენობის სრული რეაბილი-



ტაცია 222 220 ლარი დაჯდა. გარდა ამისა, ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ექცევა კრიკს, ძიუდოს და მძლეოსნობას. სპორტის ამ სახეობებში ჩვენი რაიონი საქართველოს, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონებთან და პრიზორებით სამართლიანად ამყობს. მინდა აღვნიშნო, რომ ამ სასიკეთო ცვლილებებს ხელი შეუწყო ერთობლივმა მუშაობამ. ყველა პროექტი ბატონ კახა ჟორჯოლიანთან ურთიერთშეთანხმებით გადაწყდა.

– ბატონო კახა, ტურიზმის განვითარების პერსპექტივას როგორ უყურებთ?



– ამ მიმართულებით ნამდვილად დიდი გეგმები გვაქვს და სირთულეების არ გვეშინია. ვაპირებთ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ტურიზმის განვითარებას, ვინაიდან სვანეთის ეგზოტიკური, ხალასი, თვითმყოფადი და ილუზიებით მოცული მთის სამყარო ტურიზმის განვითარებისათვის იდეალურ პირობას ქმნის. წინა წლებში, მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან აქტიურად რეკლამირდებოდა პროექტები, რომლებიც სვანეთში მიმდინარეობდა და რომელთაც, მათი აზრით, ამ მხარისთვის განსაკუთრებით დიდი პოპულარობა და ტურისტების სიუხვე უნდა მოეტანათ, თუმცა ამან ვერ გაამართლა, ვინაიდან, ისეთი ადგილისთვის, როგორიც სვანეთია, პიარიც და რეკლამაც განსაკუთრებული სიფრთხილით და აქაური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ზუსტი ცოდნით უნდა გაკეთდეს. დარწმუნებული ვარ მხოლოდ კონცეპტუალური მიდგომით შესაძლებელია მივიღოთ ბევრი ტურისტი, შევინარჩუნოთ ჩვენი კულტურა, განვითარდეთ და ჩვენივე ავთენტურობით შევიდეთ ინტეგრირებულ მსოფლიო საზოგადოებაში. ამ ეტაპზე საოჯახო სასტუმროების რაოდენობა ასამდე გაიზარდა. დაწყებულია პროექტი კერძო კოტეჯების ასაშენებლად, რომელიც კერძო პირმა შეისყიდა და 1 900 ათასის ინვესტიცია ჩადო. შარშანდელთან შედარებით ტურისტების რაოდენობა გაათმაგდა, გამგებობის ხელშეწყობით გამოიცა დამხმარე ბუკლეტები ტურისტებისთვის, რაშიც ადგილობრივი ტურისტული ცენტრი დაგვეხმარა.

– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

– სამომავლოდ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება გვაქვს. თეთნულდის გრანდიოზულ პროექტზე უკვე მოგახსენეთ. გარდა ამისა, ვაპირებთ აქცენტი გავაკეთოთ ადგილობრივ მოსახლეობაზე. მათთან, ფორმალურად, ერთ ლარად დავდეთ ხელშეკრულებები და მიწა დასამუშავებლად გადავცეთ – რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივი ზორცის და ბოსტნეულის ბაზრის ჩამოყალიბებას. დაგეგმილი გვაქვს ნაგავ გადამზიდი სადგურის აშენება, რომლის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილია 105 ათასი ლარი, რომელიც მესტიას ნაგავს საბოლოოდ მოაშორებს. დამატებით 370 000 ლარი გვეჭირდება დიდი გადამზიდი მანქანების შესაძენად. სულ ამ პროექტის განსახორციელებლად დაიხარჯება 475 885 ლარი. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწვევს და მუდმივად გვერდში გვიდგას ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი,

ვიქტორ ჯაფარიძე, ბატონი სოზარ სუბარი და ბატონი დავით ნარმანია. იმედი მაქვს, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით პროექტებს ბოლომდე მივიყვანო. მიმაჩნია, რომ თუ საქმეს სულით და გულით უდგები, ყველა პრობლემა მოგვარდება და გამოსავალი მოიძებნება.



საქართველოში, საბედნიეროდ, გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებიც საკუთარ მომხმარებელს ევროპული სტანდარტების მომსახურებას, მაღალხარისხიან პროდუქტს და დახვეწილ მენეჯმენტს სთავაზობენ. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია შპს „გამა“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს საკუთარ საქმიანობას. მომსახურების წერტილების ჩამოყალიბებული სტრუქტურა, ფუნქციების გაყოფა, საბაზო სერვისების განხორციელების პროცესები, მომსახურებ პერსონალის კომპეტენტურობა, საიმედოობა და კლიენტისადმი დამოკიდებულება, ის კომპონენტებია, რომელიც „გამას“ კონკურენტებისგან გამოარჩევს. მათ სერვისებზე, პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე, მის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბატონ ზაზა ჰაშაძეს ვესაუბრეთ...

ბატონო ზაზა, რას გვეტყვით თქვენი საქმიანობის შესახებ?

– შპს „გამა“ 2000 წელს დაარსდა და იმავე წელს გახსნა პირველი გაზგასამართი სადგური ქ. თბილისში. დღეისათვის, შპს „გამა“, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 14 მოქმედ გაზგასამართი სადგურებისაგან შემდგარ სრულფასოვან ქსელს უწევს ოპერირებას, რომელთაგან 9 სადგური ქ. თბილისში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ „გამას“ გასამართ სადგურებზე დამონტაჟებული იტალიური და არგენტინული მოწყობილობების მეშვეობით დაჭირბული ბუნებრივი აირი, ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით, მთლიანად აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს.

როგორ ვითარდება თქვენი კომპანია და რა არის თქვენი მიზანი?

– ამჟამად, ჩვენ საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ დამსაქმებელს წარმოადგენთ. ამ ეტაპზე ჩვენთან 200-ზე მეტი ადამიანი მუშაობს და მათი რიცხვი დღით-დღე იზრდება. ჩვენი კომპანიის მიზანია, გააფართოვოს ბუნებრივი აირზე მომუშავე ავტომობილების პარკი საქართველოში და მათ მაღალი ხარისხის, მინარევებისაგან გაუმყვანი პროდუქტი მიაწოდოს.

რა პრიორიტეტებით გამოირჩევა თქვენი კომპანია?

– „გამას“ გაზგასამართი სადგურების ქსელი ზრუნავს თავის მომხმარებელზე და დიდ ყურადღებას უთმობს მათ უსაფრთხოებას. ჩვენ მიერ დამონტაჟებულ ბალონებს და აპარატურას გააჩნია ყველა საჭირო ევროპული სერთიფიკატი და მაღალი საიმედოობით გამოირჩევა. „გამას“ პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებელს თავაზიანად მოეყვას, მაღალ დონეზე გაუწიოს ყველა საჭირო დახმარება და მაქსიმალურად შეუქმნას მისთვის საჭირო კომფორტი. ჩვენი თანამშრომლების მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოპყრობის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს ცხელი ზავით, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოქმედებს.

რა სიახლეებს სთავაზობთ თქვენს მომხმარებლებს?

– 2014 წლის 7 მარტიდან ჩვენს ქსელში ამოქმედდა დაგროვების უნივერსალური ბარათი, რომელსაც „გამა-ქარდი“ ეწოდება. იგი უნიკალური ბარათია და დღესდღეობით საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. მომხმარებლის მიერ „გამას“ გაზგასამართ სადგურებზე ავტომობილის ბუნებრივი აირით გამართვი-



სას ამ ბარათით სარგებლობის შემთხვევაში, „გამა-ქარდზე“ მომენტალურად დაერიცხება მის მიერ გადახდილი თანხის 1,5% პირდაპირ ფულად ერთეულში. ამ აქციის შედეგად „გამა-ქარდზე“ დაგროვილი თანხის ფარგლებში მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება „გამას“ სადგურებზე საკუთარი ავტომობილი უფასოდ დატუმბოს.

რას გვეტყვით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ?

– 2014 წლის 1 აპრილიდან ჩვენს კლიენტებს კიდევ ერთ სიურპრიზს ვთავაზობთ. „გამას“ ერთვულ მომხმარებლებს „გამა-ქარდზე“ 5 დან 50 ლარამდე ფულადი საჩუქრები დაერიცხებათ, რომელთა გამოყენებასაც ისინი ისევ ჩვენი ბრენდის გაზგასამართ სადგურებზე შეძლებენ.

**თბილისი, დ. გამრეაულის ქ. № 19
 მე-4 სართული, ოთახი 403.**



ბაზა:
 +995322242590;
 +995322242580;
 +995322384436;
 +995322242519;
 +995322242529;
 0790 112 112

ფაქსი:
 +995322242590



ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და მისი სტაბილიზაციის შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ცალკეული რეგიონების რეაბილიტაციის რეგიონული პროგრამების დამუშავებასა და მის რეალიზაციას, რომლის ხელშეწყობა ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს ძირითადი მიზანი უნდა გახდეს. ამ მხრივ, წამყვან ქვეყნებს დიდი ხნის გამოცდილება გააჩნიათ. წლების მანძილზე, საქართველოში რეგიონების განვითარების სოციალ-ეკონომიკური პროგრამების დამუშავება-რეალიზაციის გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობდა და მსგავსი პროგრამის შედგენის მცდელობა პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში აღინიშნა. მოგვიანებით არასრულყოფილად განხორციელდა ქალაქებისა და რაიონების მუნიციპალური განვითარების პროგრამები, რამაც საბოლოოდ დადებითი შედეგები ვერ მოიტანა. დღეისათვის, საქართველოს მთავრობის და პრემიერმინისტრის ინიციატივით, რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა საქართველოში მაქსიმალურად გააქტიურებულია. მიმდინარე ეტაპზე ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ცალკეული დარგობრივი, მიზნობრივი პროექტების განხორციელებამ ტერიტორიებზე განაპირობა ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება. მეცნიერულად დამუშავებული პროგრამები აუცილებელი პირობაა ტერიტორიულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. თუ კონკრეტული მაგალითით ვიმსჯელებთ, მარნეულის რაიონმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. აქტიურად ფინანსდება რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და წარმოების განვითარება, რაც მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ისპანდიარ ქარიშოვის აზრით, სულ მალე, მკაფიოდ აისახება ქვეყნის წარმატებებზე...



ერთად ვაშენებთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მომავალს



— ბატონო ისპანდიარ, რა სიახლეებია რაიონში?
— მინდა აღვნიშნო, რომ შარშან მარნეულის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა. განხორციელდა 111 პროექტი, რომელთა წარმატებით დასრულება დიდად წაადგა ჩვენი რაიონის მოსახლეობას. მათ შორის აღსანიშნავია სენა-თესვის პროგრამა, რომელმაც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მოიცვა. ბენეფიციარებმა, კატეგორიების მიხედვით ისარგებლეს,



როგორც ნიადაგის ხვნის სა-
მუშაოებისათვის განკუთვ-
ნილი სასოფლო-სამეურნეო
ბარათებით, ასევე საბანკო
„აგრობარათით“. ვფიქრობ,
მთავრობის მხრიდან ასეთი
წახალისება შესაძლებლობას
იძლევა კვალიფიციურად,
საიმედოდ და მოკლე ვადაში
გადაწყვიტოს რაიონის გან-
ვითარების სტრატეგიული
პრობლემები და ადგილობრივ



ხელისუფლებას საქმიანობის მართვის პრიორიტეტები შეუქმნას.

– დღეისათვის ყველაზე აქტუალურად რა საკითხები განიხილება?

– ჩვენი რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავარ პრობლემას სარწყავი არხების გამართულობა წარმოადგენს. სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგმულია. მოგვარებულია შიდა და ცენტრალური არხების საკითხი. ჩვენი მუნიციპალიტეტი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და „სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან“ ურთიერთთანამშრომლობით გეგმავს დებედას არხის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ტექნიკური დეტალები და სამუშაოს განხორციელების ვადები უკვე შეთანხმებულია და რეაბილიტაცია ჩაუტარდა, როგორც სათავე ნაგებობას ასევე მაგისტრალურ არხებს. გარდა ამისა, მარნეული-მუღალნოს ტრასაზე ვიწვეთ ასფალტბეტონის საფარით გზის მოპირკეთებას, რასაც დაემატება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული მარნეული-ალგეთი-წითელი ხიდის 25 კილომეტრიანი მონაკვეთი. ეს გარემოება მარნეულის რაიონის მოსახლეობას საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან კავშირს მნიშვნელოვნად გაუიოლებს.

– როგორ აღნიშნეთ „გაზაფხულის მოსვლა“?

– მოგესწენებოთ, მარნეულში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები „ნოვრუზ ბაირამს“ ყოველწლიურად აღნიშნავენ. იგი ტრადიციული დღესასწაულია და გაზაფხულის შემოსვლასა და სიცოცხლის განახლებისათნაა ასოცირებული. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მუნიციპალიტეტის წინ ჩატარდა საზეიმო ღონისძიება და გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობით. დაინთო ტრადიციული კოცონი და სიმბოლურად ეს ცერემონია სტუმრად ჩამოსულმა პრემიერმინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა განახორციელა. მან ყველას მოუწოდა, რომ მაქსიმალურად ჩაერთონ სახელმწიფო ენის შესწავლის პროექტებში, ვინაიდან ქართული ენის ცოდნა დაეხმარებათ სხვადასხვა პროფესიის დაუფლებაში, უმაღლესი განათლების მიღებაში და შემდგომ სახელმწიფოს ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ.

– კიდევ რა ღონისძიებები ჩატარდა რაიონში?

– ამ დღეებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მივადეთ. გვირგვინებით შევამკეთ სოფელ თამარისისა და წერეთელში აღმართული დაღუპულ გმირთა მემორიალები. გარდა ამისა, გამწვანების კამპანიის „მწვანე მომავლის“ ფარგლებში ჩატარდა ხეების დარგვის ცერემონია. პირველი მონაკვეთი თბილისი-მარნეულის ცენტრალურ გზატკეცილზე შეირჩა და მასში მონაწილეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, საქართველოს მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს. მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო ჩვენს საქმიანობაში



ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორის, ბატონი გიორგი მღებრიშვილის ჩართულობა, რომელიც ყურადღებას არ აკლებს მარნეულის მუნიციპალიტეტს.

– რაიონში ინვესტიციების მოზიდვა თუ ხორციელდება?

– სასიხარულოა, რომ სიახლეები ამ მიმართულებითაც შეინიშნება. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე კომპანიასთან. ამ ეტაპზე, მარნეულის მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანული კომპანია „აკორდი“ 50 ტონიან მაცივარს აშენებს, სადაც ჩვენი 100-მდე ადგილობრივი მცხოვრები დასაქმდება. გარდა ამისა, მარნეულში იგეგმება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აგება, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ ახალგაზრდობას შეიკრიბონ, ივარჯიშონ და ჯანმრთელი ცხოვრების წესით იცხოვრონ.

– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

– ჩვენს რაიონში აქცენტი აგრარულ სექტორზე კეთდება. სეზონს მომზადებული ვხვდებით და ბევრ ლაპარაკს, სჯობს საქმით ვაჩვენოთ ჩვენი შესაძლებლობები. ჩვენს აზერბაიჯანელ და ქართველ მოქალაქეებს ერთი ქვეყანა გვაქვს, ერთად ვაშენებთ მის ბედნიერ მომავალს და ასევე ერთად ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ საქართველოში.





ხალხის ნდობას გავამართლებთ



ოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა, არამედ საერთო ინტერესს და ეროვნულ დონეზე განხორციელებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. გასული საუკუნის 90-იანმა წლებმა კურორტის ბუნებრივ სილამაზეს, თითქმის ვერაფერი დააკლო, თუმცა ფუნქციონირებადი შენობები დაზიანდა, ამიტომ მათი დიდი ნაწილი რეაბილიტაციას ელოდება. წყალტუბოს მოსახლეობა განსაკუთრებით გამოარჩევს და მიესალმება პროექტებს, რომლებიც სამუშაო ადგილების შექმნაზეა ორიენტირებული. რაიონის მომავალზე, მის პერსპექტივებზე და მიმდინარე სოციალურ საკითხებზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი პაპა ბაბუნაშვილი გვესაუბრა...

– ბატონო კახა, რა არის თქვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები?

– ამ ეტაპზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრიორიტეტებს მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ჩვენი ბიუჯეტის სოციალური პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სხვა-

დასხვა დახმარებების გაწევას. მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული ბენეფიციარების კვებას, 100 და მეტი წლის მოქალაქეების დაფინანსებას, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ერთჯერად ფულად დახმარებას, დეწილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას, უჭირისუფლო გარდაცვლილების დაკრძალვის ხარჯებს, ცერებრალური დამბლით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა დაფინანსებას და სტიქიური უბედურების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

– რამდენად ეფექტურია ეს დახმარებები?

– აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიუხედავად



იმისა, რომ „სათნოების სახლის“ საკვები პროდუქტებით მომარაგებაზე გამოცხადებული ტენდერი სამჯერ ჩაიშალა, ჩვენმა თვითმმართველობამ, კანონის შესაბამისად საკითხი კონკრეტული მოლაპარაკების ფორმით გადაწყვიტა. ამჟამად „სათნოების სახლი“ 120 ბენეფიციარს ემსახურება.

– ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რას გვეტყვი?

– ჩვენი საკრებულო ცდილობს მაქსიმუმში გაიღოს წყალტუბოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, მისი საკურორტო პოტენციალის სრულად გამოყენებისა და ტურისტებისათვის მიმზიდველ თანამედროვე ტიპის ევროპულ ქალაქად გადაქცევის მიზნით. ცენტრალური პარკისა და ცივი ტბის ტერიტორიაზე აქტიურ ფაზაშია შესული მშენებლობის პროცესები, მოხილბეულია ტექნიკა და სპეციალისტები ცივი ტბის გაწმენდისა და მისგან გამომავალი არხების რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებენ. ეს არხები, მასზე აშენებული ხიდებით, ფეხით სასეირნო ბილიკებითა და მწვანეში ჩაფლული ხეივანებით პარკს განუმეორებელ ხილს შემატებს.

– კონტრაქტორებთან პრობლემები ხომ არ გექმნებათ?

– მსგავსი პრეცედენტი იყო, თუმცა ვითარება დროულად გამოსწორდა. შპს „სანს“, რომელმაც რამოდენიმე პროექტი ჩააგდო, სხვა კომპანია ჩაენაცვლება. ამ ეტაპზე, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საფეხმავლო ბილიკების, ამფითეატრის, ღია კაფის, ჩოგბურთის კორტების, მინი გოლფის ხელოვნური და გრუნტის საფარიანი მოედნების, სამი სხვადასხვა ფორმის აუზის მშენებლობა, პროექტის მიხედვით ამ ტერიტორიას მოცეკვავეც შეადრევენებიც გაალამაზებენ. პარალელურ რეჟიმში დაგეგმილია გზების საფარის შეცვლა, რისთვისაც რეგიონალური განვითარების ფონდმა 2,5 მილიონი

ყვეტილების მიღების პროცესს ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირები და პასუხისმგებელი მუშაკები ესწრებოდნენ. სწორედ ისინი განუმარტავდნენ მოსახლეობის წარმომადგენლებს თუ რა რაოდენობის თანხის დახარჯვა არის განსაზღვრული თითოეულ სოფელში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ თანხის მიზანმიმართულად გამოყენება. გზების მოხრეშვა- მოსწორება, გარე განათების ქსელის მოწყობა, სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, მიწების შეძენა, ორზიდიანი ტრაქტორის შესყიდვა, კულტურის სახლის ფასადისა და სახურავის შეკეთება, მზა ბეტონის შესყიდვა, კლუბის, ბიბლიოთეკისა და შინმოუსვლელთა მემორიალის შეკეთება, საბავშვო ბაღისა და ამბულატორიის შენობის ეზოს შემოღობვა-კეთილმოწყობა – იმ პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომელთა განხორციელებაც უახლოეს



ლარი გამოგვიყო, ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ყველა დაწყებული პროექტი 2014 წლის ბოლომდე დასრულდება. ასე რომ საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქალაქის კეთილმოწყობის პროცესი შეუქცევადია, რაც წყალტუბოში ტურისტებისა და დამსვენებლების რაოდენობის გაზრდას გამოიწვევს.

– სოფლის პროგრამების მხრივ როგორი ვითარებაა?

– მიმდინარე წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 17 ტერიტორიულ ერთეულში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით კრებები უკვე ჩატარდა. სოფლისათვის მნიშვნელოვანი გადაწ-

მომავალში დაიწყება და შესაბამისი მასალები საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში უკვე გაგზავნილია.

– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

– მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები ინვესტორებთან წყალტუბოში მსხვილი ბიზნეს-პროექტების განხორციელების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, შედგა შეხვედრა იმერეთის გუბერნატორთან, ბატონ ზაზა მეფარიშვილთან, რომელმაც დაგვამიდა, რომ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში ყველა საკითხი დადებითად გადაწყდება. გარდა ამისა, ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სანატორიუმების მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელთა ამოქმედება გაზრდის ტურისტთა ნაკადის შემოღინებას, რაც შესაბამისად, დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ პირობებზე. ჩვენს რაიონში აღმშენებლობითი საქმიანობა წარმატებულად მიმდინარეობს, სამომავლო პერსპექტივები სასიკეთო ცვლილებებისკენ მიგვანიშნებს, ამიტომ იმედი მაქვს რომ მე და ჩემი თანამოაზრეები ხალხის ნდობას სრულყოფილად გავამართლებთ.



ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი ღერძი მცირე და საშუალო ბიზნესი, საწარმოების განვითარებაა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში, მოსახლეობის დასაქმება კვლავ ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს პრობლემად რჩება. ამ მხრივ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შეიძლება ითქვას, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა,

რადგან რაიონში რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებს, მათ შორის: ეკლარის ქვის საამქრო, ჩოლაბაურის ქვიშისა და ნახშირღელის კომბოლიტური თიხის კარიერები, ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო, მეფრინველეობის ფაბრიკა, საკონსერვო საწარმო, ღვინის რამოდენიმე ქარხანა. ამასთან, მუნიციპალიტეტს ტურიზმის მხრივ, დიდი პოტენციალი გააჩნია. თერჯოლის რაიონის სოფლებში ბევრი ისტორიულ-კულტურული ძეგლები, დანგრეული და დღემდე მოქმედი ეკლესია - მონასტრებია, რომლებიც დღესაც კვლევის საგანს წარმოადგენს. რას გეგმავს თერჯოლის ადგილობრივი თვითმმართველობა რაიონის განვითარებისთვის, რა ინფრასტრუქტურული და კულტურული პროექტების განხორციელება იწყება, აღნიშნულთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მალხაზ გურგენიძე** გვესაუბრა:

ვეზაღდებით მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისათვის

ბატონო მალხაზ, რა ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტში თქვენი დანიშვნის შემდეგ?


— ჩემი დანიშვნის შემდეგ, მუნიციპალიტეტში 2013 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო. ჭალასთავის წყალსადენს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომელიც სამ სოფელს ჭოგნარს, ჭალასთავისა და ბროლიქედს ემსახურება და რომელიც 1 100 000

ლარის ღირებულების პროექტი იყო. თერჯოლა-ღვანკითის მიმართულებით მოასფალტდა გზა, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, 850 000 ლარის სამუშაოები განხორციელდა 45 სოფელში - ეს იყო გზების მოხრეშვა, სანიაღვრე

არხების აღდგენა, სოფლებში ამბულატორიებისა და ბაგა-ბაღებისთვის ინვენტარების შეძენა; სოფელ ჭოგნარში ცენტრალური გზა, რომელიც უერთდება ავტობანს ბეტონის საფარით დაიფარა. აღნიშნული პროექტისთვის 1 200 000 ლარი იყო გამოყოფილი და ბოლომდე ათვისებულ იქნა.

—2014 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით მუნიციპალიტეტში რა სამუშაოების ჩატარებაა დაგეგმილი?

—2014 წლისთვის, პირველ ეტაპზე, რაიონისთვის ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 2 400 000 ლარია გამოყოფილი, რომლითაც ცხრა პროექტი დაფინანსდება. ჩვენი პრიორიტეტი უწმინდესი ადგილების რეაბილიტაციაა. გოგნში სადაც მეცხრე საუკუნის წმინდა გიორგის სამლოცველოა, პატრიარქის ლოცვა კურთხევით 2012 წელს დაიწყო სამონასტრო კომპლექსის „კარუდგბლის“ მშენებლობა რომელიც, სავარაუდოდ 2015 წლის 6 მაისს გაიხსნება. ამავე დროს კიდევ ორი პროექტი დაფინანსდება, ასახველელი გზის მობეტონებას 250 000 ლარი მოხმარდება, ხოლო 490 000 ლარი გამოყო-





ფილია ეზოს კეთილმოწყობილობისათვის. ასევე, ადგილობრივი 2014 წლის ბიუჯეტიდან 650 000 ლარს ვრიცხავთ მშენებლობის გაგრძელებისათვის.

ასევე ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დაგეგმილია, სოფელ ოდილაურში სოფლაძე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები, სოფელ გოდოგანში კილომეტრნახევარზე ბეტონის გზის დაგება. რაც შეეხება ქალაქის ცენტრს, დაგეგმილი გვაქვს 4 ძმის, ლესელიძისა და 9 აპრილის ქუჩების მოასფალტება და წყალსადენის რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან 250 000 ლარი გვაქვს გამოყოფილი შიდა გზების მოასფალტება-შეკეთებაზე. ასევე სოფლებში ზრეშოვანი გზების შეკეთებაზე 250 000 ლარია გამოყოფილი. 120 000 ლარია გამოყოფილი ბაგა-ბაღების რემონტისთვის, ეს უპრეცედენტოდ დიდი თანხაა ამ ეტაპისთვის, რაც აღსაზრდელების კონტიგენტს გაზრდის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რაიონში მიმდინარე კულტურულ - საგანმანათლებლო და ისტორიული მნიშვნელობის პროექტების განხორციელება, რომლისთვისაც არცთუ ცოტა თანხები იხარჯება. კერძოდ: დაგეგმილია ცენტრალური ბიბლიოთეკის გარემონტება, რომლისთვისაც 40 000 ლარია გამოყოფილი და ტენდერია გამოცხადებული; 30 000 ლარია გამოყოფილი რაიონში არსებული დავით კლდიაშვილისა, შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმების რეაბილიტაციისთვის; ქალაქის კეთილმოწყობისთვის, სკვერებისა და გაზონები-

სთვის გამოყოფილია 40 000 ლარი და ტენდერია გამოცხადებული. ჩემს მიერ ჩამოთვლილი სამუშაოების ნაწილი დაწყებულია, თუმცა ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს დანარჩენი პროექტების ვადებში დასასრულებლად.

-სოციალური კუთხით რა მდგომარეობაა რაიონში?

-ერთჯერად ფინანსურ დახმარებას გავცემთ უკიდურესად გაჭირვებულებზე, ამ ეტაპზე მაქსიმალური თანხა 200 ლარია, ასევე სოციალურად დაუცველთათვის უფასოა მედიკამენტები. რაიონის მუნიციპალიტეტი ახლადშექმნილი შვილების ოჯახებს პირველ შვილზე 200, მეორეზე – 250 ლარის ოდენობის ერთჯერადად ეხმარება, რაც მინდა გითხრათ, რომ ყველაზე სასიამოვნოა ჩემთვის. დიამეტრით(დილაუზიით) დაავადებულებს ყოველთვიურად 100 ლარით ვეხმარებით, რადგან ეს ადამიანები სამკურნალოდ ქუთაისში ან თბილისში ჩასვლას საჭიროებენ.

-კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროზე რას გვეტყვი?

-რაიონში ფუნქციონირებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც 2 000-მდე ბავშვი სხვადასხვა წრეშია გაერთიანებული. გვაქვს სპორტის სასახლე და სპორტ-სკოლა, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს. გვყავს თერჯოლის გუნდი „საპოვნელა“, რომელიც პირველ ლიგაში თამაშობს. ასევე თეატრის დასი, თუმცა, სამწუხაროდ, არ გვაქვს თეატრის შენობა, ამჟამად კულტურის სახლში მიმდინარეობს თეატრისთვის დარბაზის გადაკეთება-რეკონსტრუქცია, რათა დასმა ვარჯიში შეძლოს.

-და ბოლოს, რას გვეტყვით სამომავლო გეგმების შესახებ?

-სამომავლოდ ვაპირებთ ყველა მიმდინარე პროექტისა და სოფლის პროგრამის მონიტორინგს, რაც შესასრულებელი სამუშაოების მაღალ ხარისხსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დროულ შესრულებას უზრუნველყოფს. ამავე დროს, ვეშაღებით მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისათვის და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მშვიდ გარემოში ჩაიაროს.



პაპირაბთ რაიონში სიღარიბის შემცირებას



საქართველოში წლების მანძილზე წარმოებულმა არამიზნობრივმა განვითარებამ რეგიონების შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი განაპირობა. შემცირდა სამეწარმეო აქტივობა, ტერიტორიების განვითარების ღონეებს შორის წარმოიშვა მკვეთრი დისპროპორცია, შეფერხებულად ვითარდებოდა რეგიონული ბაზრები და რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები.

ყოველივე ჩამოთვლილი, მუნიციპალიტეტებისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის დიდ დანაკარგებს განაპირობებდა. მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობდა რეგიონების ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ბიუჯეტების ფორმირების პროცესში. ვერ ხერხდებოდა რაიონების მდგრადი შემოსავლებით უზრუნველყოფა. ადგილობრივი ბიუჯეტების საგადასახადო ბაზის დაბალი, ხოლო კორუფციის მაღალი დონე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. საბედნიეროდ, უკუსვლას წერტილი დაესვა და ახალი მთავრობის გეგმაზომიერმა პოლიტიკამ განაპირობა რეალური წინსვლა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. გააქტიურდა ცალკეულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების რეალიზაცია. ახალი პროექტების განხორციელებამ ხელი შეუწყო სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **თამაზ ჯინჯარაძე** მიიჩნევს, რომ მსგავსი სახის პროექტების შედგენა და მომზადება ქვეყნის პრიორიტეტი უნდა იყოს, რათა რეგიონების შემდგომი განვითარება შეუქცევად პროცესად იქცეს.



– **ბატონო თამაზ, რა შეიცვალა რაიონში თქვენი დანიშვნის შემდეგ?**

– ნამდვილად არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი იდეალურად წარიმართა, თუმცა რამდენიმე მიმართულებით გარკვეული წარმატებები მართლაც შეინიშნება. სამწუხაროდ, პერმანენტულად გვიწევდა სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლა, რომელმაც რაიონი მნიშვნელოვნად დააზარალა და შესაბამისად, რამდენიმე პროექტის განხორციელებამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოგვიწია. მიუხედავად ამისა, ჩვენი საქმიანობა ოდნავადაც არ მოღუწებულა. რამ-



დენიშე დღეში ჩოხატაურში დავიწყებთ კულტურის სახლის მშენებლობას, რომელიც 15 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. ჩვენმა მუნიციპალიტეტმა უარი თქვა ძველი ხელისუფლების პროექტზე და კულტურის სახლის შენობის დიზაინზე ახალი პროექტი დაამტკიცა. ეს ლამაზი შენობა ჩოხატაურის ცენტრში, ღუმბაძის ქუჩაზე განთავსდება და დაახლოებით 4 მილიონი ლარი დაჯდება. გარდა ამისა, სულ მალე, ფუნქციონირებას დაიწყებს ძმები ასკანელების მიერ დაფინანსებული თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

– **ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ რა მდგომარეობაა?**

– წელს, ჩოხატაურში ინფრასტრუქტურული პროექტე-

თითქმის დამთავრებულია. შესაკეთებელია სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული რამდენიმე ხიდი. ვაპირებთ კურორტ „ბახმაროს“ საერთო განაშენიანებას და ერთიან გეგმა-პროექტში მოქცევას, რათა დამსვენებელმა თავი კომფორტულად იგრძნოს. უახლოეს პერიოდში ჩოხატაურის რაიონში სულ 272 პროექტი განხორციელდება. ვცდილობთ ფინანსები თანაბრად გავანაწილოთ და უწყურადღებოდ არავინ დარჩეს.

– **რაიონის ძირითად პრობლემას რა წარმოადგენს?**

– სამწუხაროდ, ოფიციალური მონაცემებით, მძიმე სოციალური ფონის გამო, ჩოხატაურის რაიონში ათასობით ადამიანი ირიცხება, რომლებიც სხვადასხვა სახის დახმარებას საჭიროებენ. გახშირებულია რაიონიდან მიგრაცია, რაც განსაკუთრებით სოფლად შეიმჩნევა. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობა მცირე მიწებს ფლობს, ისინი იძულებულნი არიან საცხოვრებელი დატოვონ და დიდ ქალაქებში გადავიდნენ. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ იმისათვის, რათა მოსახლეობას დახმარება აღმოეჩინოთ, რაშიც ძალიან გვეხმარება გურიის გუბერნატორი, ბატონო გიორგი ჩხაიძე.

– **ბატონო თამაზ, სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?**

– სოციალურად დაუცველი მოსახლეობის



ბის პირველი ეტაპის განხორციელებაზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 მილიონ 770 ათასი ლარი დაიხარჯება. პირველ ეტაპზე 10 პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი, რაც მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღების რეაბილიტაციასა და



დაბის ცენტრალურ ნაწილში ასფალტობეტონის გზის დაგებას ითვალისწინებს. კონკრეტული სამუშაოები გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყო. მოგეხსენებათ, წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ახალი პროექტების ინიცირება შეუძლებელია, ამიტომ შეძლებისდაგვარად ყველა პროექტი დროულად დავიწყეთ. ორი ქუჩის რეაბილიტაცია

დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა, სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ჩვენს მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათი შემდგომი განვითარება. მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში რეგიონული პროგრამების შედგენასა და მის რეალიზაციას მთავრობის მხარდაჭერით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. სწორედ ამ უწყებასთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ვაპირებთ რაიონში სიღარიბის შემცირებას, მოსახლეობის დასაქმებას და მეწარმეობის განვითარებას. ფაქტია, რომ გასული, 2013 წლის გატანა ღირსეულად მოგვახერხეთ, ამიტომ სამომავლოდ უფრო იმედიანად ვართ და ყველა ღონეს ვხმარობთ ჩვენი კუთხისა და მთლიანად ქვეყნის საკეთილდღეოდ.



გასული წელი საქართველოსთვის სიახლეების, ცვლილებების და გამოწვევების წელი იყო. მიუხედავად არაერთი სირთულისა, დასაზულ ამოცანებს ქვეყანამ მეტნაკლები წარმატებით გაართვა თავი. სამთავრობო უწყებაში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ, ადგილობრივ თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიცვალა მიდგომები ახალი პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით. გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გახდა ტენდერები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურსებში მონაწილეობით დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი. შემუშავდა ხარისხის

სტანდარტები და გაიზარდა კონტროლის მექანიზმები. შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის ახალი მეთოდოლოგია. იმ მრავალრიცხოვანი მასშტაბური პროექტების ფონზე, რომელიც მთელ საქართველოში ხორციელდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაიონული მუნიციპალიტეტების ჩართულობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ადგილობრივი კადრები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ პარტიული კუთვნილებისა თავდაუზოგავად შრომობენ მოსახლეობისათვის სოციალური და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. ჩვენი ჟურნალი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **ალგუჯა ბაგრაბიონს** ესაუბრა...

ყველაზე დიდ პრობლემას ივითაჟით ღაზარალაბული ოჯახები წარმოადგენს

- ბატონო ელგუჯა, თქვენი დანიშნის შემდეგ რა ცვლილებები განახორციელეთ რაიონში?

- მოგეხსენებათ, ქობულეთი საკურორტო ქალაქია და აქედან გამომდინარე მთავარ პრიორიტეტად ტურიზმის განვითარებას მივიჩნევ, რომლის უმთავრეს ხელშემწყობ პირობას სწორი მენეჯმენტი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ძირეული ცვლილებები ასეთი პროექტების განხორციელებას უკავშირდება. დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში განახლდა ცენტრალური პარკი, დაიწყო სპორტ-სკოლის მშენებლობა. განახლდა ათამდე წყალმომარაგების ცენ-

ტრი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამოდენიმე საბავშვო ბაღს. გარდა ამისა, ქობულეთში დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან 2 300 000





ლარია გამოყოფილი. ახალი კულტურის სახლი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორსართულიანი შენობა იქნება, სადაც 400 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი, სცენა, საკონფერენციო დარბაზი, სარეპეტიციო და სხვადასხვა სტუდიებისთვის საშუალო ოთახები განთავსდება.

– სოფლის პროგრამა როგორ ვითარდება?

– მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი თითქმის არ შეცვლილა, იგი 1 403 000 ლარს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებუ-



ლი წესების დაცვით განხორციელდა მოსახლეობასთან შეხვედრები, განისაზღვრა პრიორიტეტები, მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია, გარკვეული მიზეზების გამო საშუაოები დღემდე არ დაწყებულა, რაც, ვფიქრობ, პროგრამული ხარვეზითაა გამოწვეული. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სავარაუდოდ საშუაოები დროულად ვერ დასრულდება, რაც დამატებით პრობლემებს გამოიწვევს.

– როგორ ხვდებით საკურორტო სეზონის მოახლოებას?

– წელს დავიწყეთ ახალი პროექტის განხორციელება,

რომელიც ქობულეთის, როგორც საკურორტო ადგილის პოპულარიზაციასა და მისი ღირსშესანიშნაობების წარმოჩენას ითვალისწინებს, მაგრამ პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე და შესაბამისი ფინანსური რესურსის არ ქონის გამო წელს მხოლოდ პროექტის პირველი ეტაპი განხორციელდება, რაც ქობულეთის ქრისტიანული სალოცავების შესახებ ბუკლეტის დამზადებას ითვალისწინებს. გარდა ამისა მისახდია ინფრასტრუქტურა. ამ მიმართულებით ძირითად პრობლემას თამარ მეფის სანაპირო წარმოადგენს, რომელსაც სრული რეაბილიტაცია ესაჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა, იგი დღემდე პრობლემად რჩება. ასევე ქალაქის გარეუბნებში შეინიშნება კანალიზაციის და სანი-



აღვრე არხების გაუმართაობით გამოწვეული პრობლემები და ამ პროექტებზე აქტიურად ვმუშაობთ.

– სამომავლოდ რა რეფორმების განხორციელებას აპირებთ?

– სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც დიდ ზეგავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე და ვიმედოვნებ, რომ მომეცემა მათი განხორციელების შესაძლებლობა.

– მთავრობისგან თუ გრძნობთ მხარდაჭერას?

– არის საკითხები რაზეც ვთანხმდებით, მაგრამ არსებობს საკითხები, რაზეც განსხვავებული შეხედულებები გვაქვს და ეს ძირითადად მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში შექმნილი მძიმე სოციალურ მდგომარეობაში გამოიხატება, რაც ციტრუსის სეზონის არაეფექტურად განხორციელებითა და იპოთეკით დაზარალებული ოჯახების მძიმე მდგომარეობითაა გამოწვეული. არის ხელისუფლების დაპირება, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება, მაგრამ ფაქტი ჯოუტად რჩება და პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.



შპს „საგზაო სს“



დირექტორი:
ბარილ ბუბუჩიშვილი

ქოშანი „საგზაო სამშენებლო 22“, რომელსაც ბატონი ბარილ ბუბუჩიშვილი ხელმძღვანელობს, 2012 წლიდან ფუნქციონირებს.

„საგზაო სამშენებლო 22“ ჯრჯანისის, მთაწმინდის, დიდი დიღმისა და საბურთალოს რაიონებში გზების, შიდა ქოვების, სარემონტო სამუშაოებს აწარმოებს და „ველუჩიოს“, „სმარტის“ და სხვა მსხვილი ქოშანიების დაქვემდებარებას ახორციელებს.

„საგზაო სამშენებლო 22“ ახალი ჩამოყალიბებული ქოშანია და ამ ეტაპზე მისი საქმიანობა მხოლოდ თბილისის არააღიარებულ შარშიფარგება, თუმცა იგეგმება ქოშანის გაფართოება, რის შარშიფარგება სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება.



მშენებელი 22"

თბილისი,
დიდი დიდუბო
გომრები ბრწყინვალეს №1

ტელ: 595 85 48 48



100 წელზე მეტია საღებავების სამყაროში

„ალპინა“ - ეს არის დროში გამოცდილი ბრწყინვალე გერმანული ხარისხი, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს. მომხმარებლის გემოვნება და მოთხოვნილებები ას წელიწადზე მეტია, იყო და რჩება კომპანიის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ჩვენ გავაერთიანეთ პროფესიონალური გამოცდილება, ბუნებასა და გარემოზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.



ალპინა წლიდან წლამდე ადაფრთოვანებს მომხმარებელს უტასიკური ტონების მრავალფეროვნებით და ულტრამოდერნი საღებავებით.

ალპინა, როგორც ევროპის ერთ-ერთმა წამყვანმა ბრენდმა, დიდი ხანია მოიპოვა პარტნიორობის აღიარება, რამაც გააჩინა მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი. ინტერიერისა და ფასადის საღებავები, დეკორატიული საფარი, ლაქები, ფერადი ემალები-სა და ლაზურის უზარმაზარი არჩევანი - ხისა და მეტალის ზედაპირების დასამუშავებლად, სხვადასხვა ტიპის საგრუნტი საშუალებები - ამ ყველაფერს **ალპინა** გთავაზობთ.

ალპინა არის პირველი სრულფასოვანი წყალდისპერსიული მზა საღებავი, გამხსნელისა და მავნე ნივთიერებების გარეშე. ბრენდი წლების განმავლობაში იხვეწებოდა. დღეს მან უკვე მთელი ევროპა მოიცვა. ჩვენ პირველებმა დავწერეთ ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისი საღებავები, რომელშიც აქროლადი ორგანული ნივთიერებების შემცველობა მინიმალურია და მათი ხვედრითი წილი საცხოვრებელ ოთახებში არ აღემატება 3%-ს. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია - **ალპინა**ს პრიორიტეტია.

საუკუნოვანი ისტორიის მქონე კომპანია კაპაროლი ქართველ მომხმარებელს **ალპინას** სახით სრულყოფილ ბრენდს სთავაზობს, რომელიც გათვლილია საშუალო საფასო სეგმენტზე და საღებავებში აქროლადი ორგანული ნაერთების (ა.ო.ნ.) შემცველობის მაჩვენებლით აბსოლუტურად შეესაბამება ევროპაში დამკვიდრებულ ნორმებს.

ალპინა გახლავთ ბრენდი, რომელსაც არ სჭირდება პროფესიონალური გამოცდილება, ის არ განეკუთვნება პროფესიონალურ საღებავების ტიპს და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მცირე კონსულტაციის მერე თვითონვე დაიტანოს კედელზე. მისი შეძენა შესაძლებელია ნებისმიერ სამშენებლო მატარებელში და ის განეკუთვნება მომხმარებლის მიერ დამოუკიდებლად გამოყენებისთვის.

ქართველ მომხმარებელს ალპინა რამოდენიმე სიახლეს სთავაზობს:

ალპინა ბავშვის ოთახის

ეკოლოგიურად სუფთა და სრულიად უსაფრთხო პროდუქტი ბავშვთა ოთახისათვის. აბრეშუმისებრი-მქრქალი, სპეციალური ცვეთამდეგი საღებავი, რომელიც ბავშვის ოთახისათვის ფერთა უსაზღვრო არჩევანით გამოირჩევა. საღებავი არ შეიცავს მავნე ნივთიერებებს. დატანისას და შრობის შემდეგ არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას ოთახის მიკროკლიმატსა და, შესაბამისად, თქვენს შვილის ჯანმრთელობაზე. ალპინა ბავშვის ოთახის საღებავით შეღებილი ზედაპირი იოლად იწმინდება.

ალპინა საზარეულოსა და სააბაზანოს

ეკოლოგიურად სუფთა და სრულიად უსაფრთხო პროდუქტი სველ წერტილებში კედლების გასაფორმებლად. აბრეშუმისებრი-მქრქალი სპეციალური საღებავი ფერთა ფართო არჩევანით. ადვილად იწმინდება, მედეგია ნესტისა და დაბინძურებისადმი, ხელს უშლის ობის გაჩენას. განეკუთვნება სპეციალურად მაღალი ტენიანობის მქონე ოთახებისთვის და იცავს კედლებსა და ჭერს დაზიანებისაგან.

100+ წელი
საღებავების სამყაროში



თქვენი შვილის ჯანმრთელი გარემოსათვის



**ალპინა ბავშვის ოთახის
თქვენი შვილის საყვარელი ფერი**

- ჯანმრთელი მიკროკლიმატისათვის
- ძალიან კარგად იწმინდება
- ბავშვისათვის ყველა სასურველი ფერი



ალპინა. გამოაცოცხლე შენი სახლი



GCBB

საქართველოს ცენტრალური
სისხლის ბანკი -

სიცოცხლის საღარაჯოა

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ თავისი დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის“ შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინაშე აღებულ იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“. ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შენარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ხარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მძიმე წუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილშია კიდევ არ დაუძიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითვლის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის დევიზია – სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლეს საფრთხეშია!

GCBB- ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურებითა და პროდუქციით ნელ-ნელა მთელს ამიერკავკასიაში იმკვიდრებს ადგილს. უანგარო ღონისძიებების კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის პრინციპი მაგალითად: დონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, 6 თვის განმავლობაში მას და მის ოჯახს წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორიცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.

14 ივნისი, სისხლის უანგარო დონორობის მხარდასაჭერად და ვაბივისცემის ნიშნად, დონორთა დღის მთელი მსოფლიო აღნიშნავს. **იყავი გულისხმიარი, გაიღა სისხლი - გადაარჩინა სიცოცხლე!**



მის: ქავთარაძის 21/ა
<http://www.geocbb.com>
T: 218_91_77; 254_53_19


HOTEL COMPLEX

Kutaisi, Tsereteli str.
by str. 11#2a
Tel. +995 431 25 55 55
+995 591 22 93 93
fax: +995 431 24 91 88
E-mail: info@bagrati1003.ge

V.I.P.

BAGRATI

WWW.BAGRATI1003.GE



საქართველო,
ქუთაისი,
წარების 11N#2ა
მობ.: 591 22-93-93





მშენებლობა და
ბენიფიციაცია

WWW.SUBTROPICITY.GE



1 SHEAIF KHMISHVILI STREET, BATUMI

MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100

Info@subtropicity.ge



სუბტროპიკული

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი



აქცია!



მ. ბათუმი, სოფიას ქუჩის მთა №1
19 სართულიანი მრავალ ფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი
საბაზო სარეაბილიტაციო მუშის ნაკვეთი №10 - 5000 კვ. მ.
ბინები 39 კვ. მ - თან
მშენებლობა დასრულებულია!



თბილისი, თარგნიშვილის №2



ბაღდათის კარიბჭე

მ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა №4
7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
ფართობი: 4200 კვ. მ.
მშენებლობის პერიოდი: (2010-2012) ბინები 70 კვ. მ თან
მშენებლობა დასრულებულია!



მ. ბათუმი, შავაშვილის ქუჩა №53-57
14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
ფართობი: 9870 კვ. მ /
მშენებლობის პერიოდი: (2013-2015) ბინები 41,2 კვ. მ თან